

გარდიოლოგია  
და  
შინაგანი მაღიცინა  
**XXI**

დიაგნოსტიკის, პრევენციის, მაღიკამუნიტური და  
ქირურგიული მკურნალოგის, ინტერვენციული თერაპიის,  
მოდელირებისა და ახალი ტექნოლოგიების

მიზანები და პრიკლემები

Nº 1-2  
(XXV-XXVI)

## სარედაქციო კოლეგია

- ე. ამოსოვა (უკრაინა)
- ნ. ანგომაჩალელის (საბერძნეთი)
- ჰ. ბლუმი (გერმანია)
- ლ. ბოკერია (რუსეთი)
- ი. ბორისოვი (რუსეთი)
- რ. გაგუა
- დ. გიბსონი (ინგლისი)
- ქ. დე პოუპი (შვეიცარია)
- ფ. ოოდეა

- ა. სეკიგუჩი (იაპონია)
- ბ. ქობულია
- გ. ყიფშიძე
- დ. ყიფშიძე (აშშ)
- რ. შაქარიშვილი
- ი. შევჩენკო (რუსეთი)
- ქ. ჩაზოვი (რუსეთი)
- გ. ჩაფიძე

## სარედაქციო საბჭო

- ა. ალადაშვილი
- ნ. ბაქრაძე
- ზ. ბახუბაშვილი
- ს. გოგოხია
- გ. დიდაგა
- ი. დინდარი (თურქეთი)
- ნ. ემუსვარი
- თ. თავხელიძე
- დ. თელია
- ა. კალოფოუსტისი (საბერძნეთი)
- ზ. კაკაბაძე
- ს. კაპანაძე
- მ. კვიტაშვილი
- დ. კორძაია
- თ. ლობჟანიძე
- კ. მეუნარგია
- დ. მეტრეველი
- ჯ. მოზესი (აშშ)
- ს. ორჯონიკიძე
- ა. პაპიტაშვილი

- ს. პაჭკორია
- ა. რევიშვილი (რუსეთი)
- თ. სანიკიძე
- ც. სენ (თურქეთი)
- გ. სუკოანი
- ბ. ტაბიძე
- ზ. ფადაგა
- მ. ფირცხალავა
- ა. ქისტაური
- რ. შენგელია
- კ. ყიფიანი
- გ. ჩახუნაშვილი
- დ. ცისკარიშვილი
- თ. ცერცვაძე
- ბ. წვერავა
- ძ. წინამძღვრიშვილი
- კ. ჭუმბურიძე
- ი. ჯაში
- ხ. ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი)

მთავარი რედაქტორი:

მთავარი რედაქტორის მოადგილე:

რედაქციის სამდივნო:

მისამართი:

ტელეფონი:

ელ-ფოსტა:

ვებ-გვერდი:

გ. როგავა

ბ. ღუდუშაური

თ. ბოჭორიშვილი, ქ. კაპანაძე

380059; ჩახავას 3, თერაპიის ეროვნული ცენტრი

(99532) 516498, (99577) 478707, 469650

[gisc@posta.ge](mailto:gisc@posta.ge), [mamantirogava@mail.ru](mailto:mamantirogava@mail.ru)

[www.gisc.ge](http://www.gisc.ge)

ურნალში გამოქვენებული სტატიები რეფერირდება “ქართულ რეფერატულ ურნალს” და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ)-ს რეფერატულ ურნალში, მასში გამოქვენებული სტატიები შედის მედიცინის მონაცემთა ბაზაში და განთავსებულია ინტერნეტში საქართველოს საერთაშორისო კარდიომიოპათიის საზოგადოების ვებ-გვერდზე [www.gisc.ge](http://www.gisc.ge), აგრეთვე იგი შეანილია ქართულ საძიებო საიტებში: [www.internet.ge](http://www.internet.ge); [www.qartuli.com](http://www.qartuli.com) და [www.geres.ge](http://www.geres.ge).

ურნალის ელექტრონული ვერსია eISSN1512-1968 იგზავნება პარიზის საერთაშორისო ISSN-ის ცენტრში. ურნალის ტიპიგრაფიული ბეჭდვითი ვერსია ISSN1512-1291 იგზავნება მსოფლიო 22 ქვეყნის სამედიცინო და ეროვნულ ბიბლიოთეკებში.

**SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL**

**ISSN 1512-1291  
EISSN1512-1968**

**CARDIOLOGY  
AND  
INTERNAL MEDICINE  
XXI**

**DIAGNOSTIC, PREVENTION, DRUG AND SURGICAL TREATMENT, IN-  
TERVENTIAL THERAPY, MODELLING AND  
MODERN TECHNOLOGIES**

***ACHIEVEMENTS AND PROBLEMS***

**Nº 1-2  
(XXV-XXVI)**

**TBILISI  
2009**

## **EDITORIAL BOARD:**

- |                            |                         |
|----------------------------|-------------------------|
| E. Amosova (Ukraine)       | D. Gibson (UK)          |
| N. Angomachalelis (Greece) | N. Kipshidze            |
| H. Blum (Germany)          | N. Kipshidze (USA)      |
| L. Bokeria (Russia)        | B. Kobulia              |
| I. Borisov (Russia)        | P. Todua                |
| G. Chapidze                | A. Sekiguchi (Japan)    |
| E. Chazov (Russia)         | R. Shakarishvili        |
| J. De Paepe (Switzerland)  | Ju. Shevchenko (Russia) |
| R. Gagua                   |                         |

## **EDITORIAL COUNCIL:**

- |                          |                        |
|--------------------------|------------------------|
| A. Aladashvili           | V. Meunargia           |
| N. Bakradze              | J. Moses (USA)         |
| Z. Bakhutashvili         | S. Orjonikidze         |
| G. Chakhunashvili        | Ch. Pachkoria          |
| V. Chumburidze           | Z. Paghava             |
| G. Didava                | A. Papitashvili        |
| I. Dindar (Turkey)       | M. Pirtskalava         |
| N. Emukhvvari            | A. Revishvili (Russia) |
| N. Gogokhia              | T. SanikiZe            |
| N. Huseinov (Azerbaijan) | C. Sen (Turkey)        |
| I. Jashi                 | R. Shengelia           |
| A. Kalofoustis (Greece)  | G. Sukhoiani           |
| Z. Kakabadze             | G. Tabidze             |
| S. Kapanadze             | T. Tavkhelidze         |
| A. Kistauri              | D. Telia               |
| K. Kipiani               | D. Tsiskarishvili      |
| M. Kvitalashvili         | T. Tservadze           |
| D. Kordzaia              | B. Tsinamdzghvlishvili |
| T. Lobzhanidze           | M. Tsverava            |
| D. Metreveli             |                        |

### **EDITOR-IN-CHIEF:**

M. Rogava

### **EDITOR:**

M. Gudushauri

T. Bochorishvili

K. Kapanadze

### **ADDRESS:**

Chachava St., Tbilisi, Georgia, 380059

NATIONAL CENTER OF THERAPY

(9995 32) 516498, (995 77) 478707, 469650

*gisc@posta.ge, mamantirogava@mail.ru*

[www.gisc.ge](http://www.gisc.ge)

The Abstracts of the articles included in "Cardiology and Internal Medicine-XXI" will be published in the Georgian Abstract Journal and in the Journal of the Institute of the Scientific and Technical Information of the Russian Academy of Science (VINITI). Besides, the Abstracts are entered into the Medical Information Database, and could be found in the internet on the web-site of the Georgian International Society of Cardiomyopathy [www.gisc.ge](http://www.gisc.ge).

The information about it is also available on the Georgian search sites: [www.internet.ge](http://www.internet.ge), [www.qartuli.com](http://www.qartuli.com) and [www.geres.ge](http://www.geres.ge). The electronic version of the journal eISSN1512-1968 is sent to the International ISSM Centre in Paris and the published version of it ISSN1512-1291 is delivered to 22 countries around the world.

**კლინიკური მედიცინა**

<b>1. ბ. ემუხვარი, გ. ცეცხლაძე, შ. რცხილაძე, ო. ხინთიძიძე, რ. ნაფეტვარიძე STEMI ნორმალური კორონარების ფონზე. რამდენად რეალურია ეს დიაგნოზი?</b>	<b>9-11</b>
<b>2. გ. აბულაძე, გ. ნარსია, ბ. ჯინჯოლია, გ. ნებიერიძე, შ. თვალჭრელიძე პროპაფენონის (პროპანორმი) მოქმედების ეფექტურობის შეფასება არტერიული პიპერტონისა და გულის ქრონიკული უკმარისობის დროს წინაგულთა ფიბრილაციის მქონე პაციენტებში.</b>	<b>13-14</b>
<b>3. ენდოუ ჯ.ს. კოტნი გულის ქრონიკული უკმარისობის მართვის სტრატეგიათა კლინიკური შედეგები და ხარჯეფექტურობა</b>	<b>16-20</b>
<b>4. V.Gapagov, K.Musayev*, A.Mamedov Инфицирование стерномических ран после Аорто-Коронарной шунтирование: лечение и результаты</b>	<b>24-25</b>
<b>5. В.Б. Симоненко, И.А. Борисов, А.Н. Блехтин, Е.В. Гайдукова, М.Ю. Уйманова, Т.В. Диева, Д.Д. Савичев Тромбэндокрдит Постинфарктной Аневризмы Левого Желудочка: Методы Хирургического Лечения</b>	<b>26-35</b>
<b>6. გ. როგაგა. ო. ბოჭორიშვილი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის გამოვლენა დილატაციური კარდიომიოპათიით შეპყრობილ პაციენტებში</b>	<b>38-39</b>
<b>77. Ястrebов Ю.В. Диагностика донозологических состояний организма через активность энергетических меридианов</b>	<b>40-45</b>

**პრაქტიკური მედიცინა**

<b>1. Махмудов М.Г Клинико-диагностическая значимость определения Helicobacter Pylori при перфоративных язвах желудка и двенадцатиперстной кишки</b>	<b>47-48</b>
--	--------------

## Contents

---

<b>2. ჯ.ნაკაშიძე, ბ.ჩახვაძე, მუცლის დახურული ტრავმა ელენთის დაზიანებით .....</b>	<b>50-51</b>
<b>3. Магеррамов П.Ф., Байрамов Н.Ю., Зейналов Е.Ф. Интраоперационная исследование и коррекция патологии желчевыводящих путей при лапароскопической холецистектомии .....</b>	<b>55-56</b>
<b>4. ბ. ჩახვაძე, ჯ. ნაკაშიძე პოსტოპერაციული ვენტრალური თიაქრების ქირურგიული მკურნალობა .....</b>	<b>57-59</b>
<b>5. Гумматов А.Ф., Султанов Г.А., Аббасов А.Г., Алиев Э.А. Улучшению Результатов Диагностики и Хирургического Лечения Сложных Рецидивных Парапектальных свищей .....</b>	<b>60-65</b>
<b>6. ბ.რაჭელიშვილი, მ.კაჯოშვილი, ხ.პაჭურია, ა. ისაკაძე, ე.აღაძია, ლ.ძელაძე წვრილი ნაწლავის მიკლოფლორა და d+ქსილოზას შეწოვა პოსტგასტროეზექციული დიარეის დროს .....</b>	<b>67-68</b>
 <b>გიმოხილვა</b>	
<b>1. ბ. ქათამაძე, მ. კიქნაძე სტრეს - (Tako-Tsubo) კარდიომიოპათია .....</b>	<b>69-73</b>
 <b>სსოვნა</b>	
<b>აკადემიკოსი მირსაიდ მირახიმის ძე მირახიმოვი .....</b>	<b>74-75</b>
<b>ინფორმაცია .....</b>	<b>76</b>
<b>განცხადება .....</b>	<b>77</b>

**Clinical Medicine**

<b>1. N. Emukhvare, E. Tsetskhladze, S. Rtskhiladze, I. Khintibidze, R. Napetvaridze</b> STEMI and Normal Coronary Arteries. How Real is this Diagnose? .....	<b>11-12</b>
<b>2. G. Abuladze, N. Jinjolia, E. Narsia, Sh. Tvalchrelidze, M. Nebieridze</b> Evaluation of Propafenon (propanorm) Effectiveness in the Patients with Atrial Fibrillation on the Background of Arterial Hypertension and Chronic Heart Failure .....	<b>15</b>
<b>3. Andrew J.S. Coats</b> Clinical Outcomes and Cost-Effectiveness of Strategies in the Managements of chronic Heart Failure .....	<b>21</b>
<b>4. V. Gapagov, K. Musayev, A. Mamedov</b> Sternal Wound Infection after Coronary Bypass Surgery: Treatment and Outcomes .....	<b>21-24</b>
<b>5. V.B. Simonenko, I.A. Borisov, A.N. Bletkin, E.V. Gaidukova, M.I. Uimanova, T.V. Dieva, D.D. Savichev</b> Surgery for Left Ventricular Aneurysm Complicated with Thrombotic Endocarditis .....	<b>35-36</b>
<b>6. M. Rogava, T. Bochorishvili</b> Manifestation of Diabetes Mellitus Type 2 in Patients with Dilated Cardiomyopathy .....	<b>37-38</b>
<b>7. V. Iastrebov</b> Diagnostics of Organism Nozologic Conditions through Power Meridian Activity .....	<b>45-46</b>

**Practical Medicine**

<b>1. M.G. Mahmudov</b> The Clinical-Diagnostic significance of H.Pylori Determination in Gastric and Duodenal Perforative ulcer .....	<b>49</b>
--	-----------

## **Contents**

---

<b>2.J. Nakashidze B.Chakhvadze, Close Abdominal Trauma with Spleen Injury .....</b>	<b>52</b>
<b>3.P.F. Maharramov, N.Y. Bayramov, E.F.Zeynalov Intraoperative Bile Duct Examination and Correction During Laparoscopic Cholecystectomy .....</b>	<b>53-55</b>
<b>4. B.Chakhvadze, J. Nakashidze Surgical Treatment of Postoperative Abdominal Hernias.....</b>	<b>59-60</b>
<b>5. A.F. Hummatov, H.A. Sultanov, A.H .Abbasov, E.A. Aliyev Improvement of Surgical Treatment and Diagnostics of Complicated Relapsing Pararectal Fistuls .....</b>	<b>66</b>
<b>6. B. Rachvelishvili, G.Kakoishvili, Kh. Pachkoria, A. Isakadze, E. Adamia, L.Dzneladze Jejunal Microflora and d+Xyloza Absorption in Billroth II Gastrectomy Diarrhea .....</b>	<b>68</b>
 <b>Review</b>	
<b>1. Katamadze N., Kiknadze M. Stress-(Tako-Tsubo) Cardiomyopathy.....</b>	<b>73</b>
 <b>Memory</b>	
<b>Academician Mirsaid Mirakhim Mirakhimov.....</b>	<b>75</b>
 <b>Information.....</b>	
<b>Statement .....</b>	<b>77</b>

## STEMI ნორმალური კორონარების ფონზე. რამდენად რეალურია ეს დიაგნოზი?

**ნ. ემუხვარი, ქ. ცეცხლაძე, შ. რცხილაძე, ი. ხინთიბიძე, რ. ნაფეტვარიძე  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,  
პროფ. ა. ალაძაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა.**

STEMI ანგიოგრაფიულად ინტაქტური სისხლძარღვებით კარგად დოკუმენტირებული პათოლოგიაა, რომელიც სხვადასხვა მონაცემებით ამ დიაგნოზის მქონე პაციენტთა 7-დან 15%-მდე შემთხვევებში აღინიშნება. მონაცემები ამ დაავადების შესახებ ძირითადად განიხილება ძველ და ხშირ შემთხვევებში არასრულ კვლევებში. ასევე ხშირია ინტაქტური კორონარები არასტაბილური სტენოკარდიით და STEMI-ით პირენტებში. ჩვენ სტატიაში განვიხილავთ STEMI-ის მქონე პაციენტებს, რომელთაც ეკბ ცვლილებებთან ერთად ადენიშნებათ ექოსკოპიურად მიოკარდიუმის სეგმენტური კუმულაციის დარღვევა, კარდიული მარკერების კლინიკურად მნიშვნელოვანი მატება და ნორმალური კორონარული სისხლძარღვები (კორონარული სტენოზი ეპიკარდიულ სისხლძარღვებში <40%-ზე). ჩვენ არ ვამახვილებთ ყურადღებას მიკროვასკულურ დაგადებაზე, ე.წ. X-სინდრომზე, რომელიც კარგად შესწავლილი დაავადებაა, როგორც ეპიდემიოლოგიური ფაქტორების და კლინიკური მიმდინარეობის, ასევე პროგნოზის თვალსაზრისით. ასევე ამ კვლევაში არ განიხილება ის შემთხვევები სადაც დაგენილი იყო პერიკარდიტი, მიოკარდიტი, კარდიომიოპათია ან კლინიკური სიმპტომატიკა მიუთითებდა ამ დაავადებების არსებობის მაღალ ალბათობაზე.

**კვლევის მასალა და მეთოდები:** ა. ალაძაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ანგიოგრაფიულ ლაბორატორიაში რეტროსპექტულად შეფასდა STEMI-ის 165 შემთხვევა, დადებითი კარდიული მარკერებით და ექოსკოპიურად სეგმენტური ასინერგიის უბნებით. მათ შორის 17 პაციენტს (10.3%) გამოვლინდა ინტაქტური კორონარული სისხლძარღვები. აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში კორონაროგრაფიული გამოკვლევა ჩატარდა ინიციალური შემთხვევიდან 12 საათის გამნავლობაში. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში დაფიქსირდა უკა დინამიკა, დამახასიათებელი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტისათვის.

პაციენტებს აღენიშნებოდათ ტიპიური გახანგრძლივებული ანგინოზური ტკივილი, დადებითი ტროპონინის სინჯი, ST სეგმენტის არატრანზიტორული ელევაცია, ექოსკოპიურად სეგმენტური სინერგიის უბნები.

ყველა პაციენტს ჩატარდა კორონარული ანგიოგრაფია ინიციალური შემთხვევიდან 12 საათის გამნავლობაში.

**კვლევების შედეგები:** აღნიშნული 165 (114 მამაკაცი და 51 ქალი) პაციენტიდან 17-ს (6 მამაკაცი და 11 ქალს აღენიშნებოდა ნორმალური კორონარული სისხლძარღვები). 15 პაციენტი გადმოყვანილი იქნა სხვა კლინიკებიდან მწვავე კორონარული სინდრომის დიაგნოზით ანგიოგრაფიის ჩატარების თვალსაზრისით. 2 პაციენტს STEMI განუვითარდათ პოსპიტალიზაციის პერიოდში, ყველა პაციენტს ჩატარდა ანგიოგრაფოული გამოკვლევა. 17 პაციენტს 21.6% ქალს და 5.3% მამაკაცს აღენიშნებოდათ ანგიოგრაფიულად ნორმალური კორონარები. მამაკაცთა საშუალო ასაკი იყო 54 წელი ქალთა საშუალო ასაკი იყო 61 წელი.

სამედიცინო ჩანაწერების რეტროსპექტიული გადამოწმებისას აღმოჩნდა რომ პაციენტთა ნახევარზე მეტს (8 ქალს და 3 მამაკაცს) აღენიშნებოდა მძიმე სტენოგრეაციის ინიციალურ მოვლენამდე რამდენიმე საათის ადრე, ძირითადად ეს იყო ოჯახის წევრის დაღუპვა, საგზაო შემთხვევის შესწრება, ამ ქალბატონთა 34% იყო აქტიური მწეველი. საერთო ქოლესტეროლის საშუალო დონე იყო 182 მგ/დლ. მამაკაცთა 100% იყო მწეველი. 2 მათგანს არენიშნებოდა შაქიანი დიაბეტი, 4 მათგანში შესაძლებელი იყო გვევარაუდა კოკაინის გამოყენება, თუმცა შარდის ტესტი კოკაინის შემცველობაზე არ ჩატარებულა. იმის გამო, რომ მონაცემების შეფასება მოხდა რეტროსპექტიულად ყველა პაციენტს რუტინულად არ ჩატარებია კოაგულაციის ტესტები.

გაგ: პაციენტებს აღვნიშნებოდათ ST სეგმენტის >1 მმზ. 11 პაციენტში აღინიშნებოდა მიოკარდიუმის წინა კედლის დაზიანება, ხოლო 6 შემთხვევაში ქვემო და ლატერალური კედლის დაზიანება. 3 შემთხვევაში (სავარაუდოდ ტაკოცუბოს კარდიომიოპატიით ქალებში) აღინიშნებოდა ST სეგმენტის ელექტრის როგორც წინა, ასევე ქვემო კედლის განხერებში, მათ შორის ექოკარდიოგრაფიული კვლევა ჩატარდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სადაც გამოვლინდა მიოკარდიუმის კუმულაციის შეცვლა ტაკოცუბოს კარდიოპათიის სასარგებლობის დანარჩენ ორ შემთხვევაში ვერ მოხერხდა ექოსკოპის ჩატარება, რადგან პაციენტები მეორე დამწოდი ნახვევის მოხსნიდან რამდენიმე საათში გაეწერენ კლინიკიდან.

კარდიული მარკერები: ტროპონინის მატება აღინიშნა ჩვენს მიერ გამოკვლეულ ყველა პაციენტში. მისი საშუალო მაჩვენებელი იყო 12.5 ნგ/მლ. CK-MB- გასაზღვრა მოხდა პაციენტთა 47%-ში, აგრეთვე ყველა ისეთ შემთხვევებში, სადაც ამ ფერმენტის რე-ელევაცია პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო რეკურენტული იშემის შემთხვევებში, განმეორებითი ინფარქტის გამოსარიცხად. პრაქტიკულად ყველა პაციენტში ტროპონინის მატება კლინიკაში მოხვედრის პირველი საათებიდანვე იყო შესამჩვევი.

კორონარული ანგიოგრაფია: გამოკვლეული 17 პაციენტებიდან, რომელთაც არ გამოუვლინდათ კორონარული დაავადება 11 შემთხვევაში აღინიშნა ნორმარული სისხლის ნაკადი, ხოლო 6 შემთხვევაში დაფიქსირდა კორონარული ნაკადის ერთგვარი შენელება მნიშვნელოვანი ლოკალური შევიწროვებების გარეშე (<40%-ზე). კორონარული სისხლის ნაკადის სიჩქარის შემცირება არ იმყოფებოდა კორელაციაში ექოკარდიოგრაფიულად და ვენტრიკულოგრაფიით სეგმენტური ასინერგიის უბნებთან.

**დისკუსია:** აღინიშნული რეტროსპექტიული კვლევა გახლავთ პრაქტიკულად ერთერთი პირველი, რომელიც ნორმალური კორონარების მქონე STEMI პაციენტებში აზოგადებს კლინიკურ, ეკგ, ლაბორატორიულ, ექოკარდიოგრაფიულ და ანგიოგრაფიულ მონაცემებს. იგი იძლევა პაციენტების ამ მცირე კოპორტაში დაავადების 6 თვიან პროგნოზს. აღსანიშნავია, რომ კვლევა ჩატარდა რეტროსპექტიულად და მას ბევრი ნაკლი აქვს.

მაგ: ვერ მოხერხდა პაციენტების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში პარალელური ანალიზის ჩატარება, პაციენტთა მცირე რაოდენობის გამო, არ ხდებოდა მიოკარდიუმის ბიოფსიის გაკეთება, რასაც შეეძლო პრაქტიკულად გამოერიცხა მიოკარდიტის არსებობა. ყველა პაციენტში ვერ ხერხდებოდა რუტინული კოაგულაციის ტესტების რეტროსპექტიული შესწავლა მათი არარესებობის გამო, აგრეთვე სხვადასხვა შემთხვევაში ვერ ხერხდებოდა შარდის ანალიზის შეგროვება, კოკაინის შესაძლო გამოყენების გამოსარისხად, და რაც ყველაზე დასანაია, 2 პაციენტს, რომლებშიც არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი ტაკოცუბოს კარდიოპათიაზე დაავადების მწვავე ფაზაში ვერ მოხერხდა სრულფასოვანი ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევა. ასევე ძალიან დასანაია, რომ ჩვენს კლინიკებში პაციენტები არ გადიან ფსიქოლოგიურ ტესტირებას, პრაქტიკულად არ არსებობს ჩანაწერები პირველად სამედიცინო რუკაში მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ და მონაცემები, მათ მიერ გადატანილი ძლიერი ემოციური სტრესის შესახებ მხოლოდ ექიმთა მწირი მონაცოლით ან სამედიცინო ისტორიაში გაკეთებული მწირი ჩანაწერით შემოიფარგლება. მიუხედავად მრავალი ნაკლოვნებისა კვლევა იძლევა ძალიან საინტერესო ინფორმაციას გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდების ერთმანეთთან კორელაციის თვალსაზრისით. ყურადღებას იყრობს, რომ 17-დან 11 პაციენტში კორონარული სისხლის ნაკადი იყო აბსოლუტურად ნორმალური, თუმცა, როგორც ვენტრიკულოგრაფიით, ასევე ექოკარდიოსკოპიულად პაციენტთა დიდ უმრავლესობაში (7-ში 11-დან) აღინიშნებოდა აპიკალურ-სეპტალური და აპიკალურ-ლატერალური სეგმენტების პოპინეზია. დარჩენილი 9 შემთხვევიდან, სადაც გამოვლინდა კორონარული სისხლის ნაკადის შენელება, სეგმენტური ასინერგიის უბნები არ იმყოფებოდა კორელაციაში ანგიოგრაფიულად დაზიანებული სეგმენტების აუზებთან, რაც ასევე მრავალ კითხვის ნიშანს სვამს და ამ მხრივ კვლევების გაგრძელებას მოითხოვს. ეს არის პრაქტიკულად პირველი კვლევა, სადაც სეგმენტური ასინერგიის უბნები იქნა აღწერილი ამ ტიპის პაციენტთა 88%-ში.

ძალიან პრინციპულად მიგვაჩნია ის საკითხი, რომ პაციენტთა დიდი ნაწილი ქალები იყვნენ და მათ უმეტესობას ინიციალური შემთხვევების განვითარებას წინ უძლოდა ძლიერი სტრესული სიტუაცია. ასეთ პაციენტებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და

სამომავლოდ არის გასათვალისწინებელი მოწოდებული ფსიქოლოგიური ტერსირების ჩატარება და პატექოლამინების დონის განსაზღვრა, რაც პირდაპირ დაადგენს მათ როლს ამ დაავადების განვითარებაში.

არასრულად ჩატარებულმა კოაგულაციურმა ტესტებმა არ მოგვცა საშუალება გაგვეკეთებინა პაციენტების კოაგულაციური სპექტრის სრული რეტროსპექტიული ანალიზი. ამ პათოლოგიის როლი დაავადების განვითარებაში უდავოა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მისი დამტკიცება არ შეგვიძლია.

უურადღებას იქცევს ის, რომ პაციენტთა დიდ ნაწილში კორონაროგრაფიული გამოკვლევა ანგიონოზური ტკივილის დაწყებიდან სწრაფად ჩატარდა, შემთხვევათა 82%-ში ტკივილის დაწყებიდან 3 საათის განმავლობაში, რაც რასაკვირველია, არ გამორიცხავს სპონტანურ თრომბოლიზის, რაც საჭმარდ ხშირი ფენომენია.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ კოკაინის გამოყენების შემთხვევას 4 ახალგაზრდა მამაკაც-ში, რომელთაც ანამნეზში ჰქონდათ აღნიშნული დატვირთვა. ასევე არ შეგვიძლია აბსოლუტურად დაბეჯითებით გამოვრიცხოთ მიოკარდიტი, რადგან ბიოფსია ამ პაციენტებში არ ჩატარებულა.

ჩვენს მიერ გამოვლენილი 17 პაციენტში, პროგნოზი იყო კეთილსაიმედო. არცერთი შემთხვევა არ დამთავრებულა ლეტალურად. არცერთ შემთხვევაში არ განვითარებულა ფატალური ან არაფატალური გართულებები. ჩვენ შევეცადეთ მთლიანად გაგვეკონტროლებინა მათი ჯანმრთელობის სტატუსი ჰოსპიტალიზაციიდან 6 თვის განმავლობაში. მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა განმეორებითი მიოკარდიუმის ინფარქტის STEMI. ამ პაციენტში ინიციალური მოვლენა სავარაუდოდ განპირობებული იყო კოკაინის გამოყენებით, განმეორებითი ჰოსპიტალიზაციისას 5.5 თვის შემდეგ აღნიშნებოდა წინასთან იდენტური ეპგ ST სეგმენტის ელექტრიკით. განმეორებითმა კორონაროგრაფიამ კორონარული დაავადების არსებობა არ გამოავლინა. პაციენტი კატეგორიულად გამორიცხავდა კოკაინის განმეორებითი გამოყენების ფაქტს, თუმცა შესაბამისი ანალიზის ჩატარებაზე მან კატეგორიული უარი განაცხადა.

ამ ლიმიტირებული რეტროსპექტიული კვლევით შეუძლებელია ყველა კითხვას გაეცეს პასუხი. ბუნებრივია, ეს საკითხი არ გახდავთ კომერციული, კვლევათა ძირითადი ნაწილი მონაცემთა რეტროსპექტიულ ანალიზს ეხება და ამიტომ არასრულყოფილია. მომავალი პროსპექტული კვლევები ნორმალური კორონარული სისხლძარღვების მქონე STEMI პაციენტებში პაციენტთა სრული ლაბორატორიული პაკეტის გამოკვლევით, სპეციალურად შექმნილი ფსიქოლოგიური ტესტების გამოყენებით, ავტონომიური ნერვული სისტემის შესწავლით, ყველა საეჭვო შემთხვევაში მიოკარდიუმის ბიოფსიის ჩატარებით საშუალებას მოგვცემს ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ამ დაავადების პათოგენეზზე, საშუალებას მოგვცემს ვისწავლოთ მისი სწორი მართვა და შეგვეძლოს დაავადების ზუსტი პროგნოზის განსაზღვრა.

## STEMI and Normal Coronary Arteries. How Real is this Diagnose?

**N. Emukhvari, E. Tsetskhladze, S. Rtskhiladze, I. Khintibidze, R. Napetvaridze  
Tbilisi State Medical University. A. Aladshvili University Clinic**

Myocardial infarction with normal coronary arteries is well documented syndrome; which is often associated with wall motion abnormalities. Data was retrospectively, who underwent cardiac catheterization. Of the patients presenting STEMI 10.3% had MINCA. Females were more likely to present with MINCA than males. Coronary flow was absolutely normal in 11 of 17 cases. In 7 cases slow coronary flow was documented. These myocardial segments don't correlate with wall motion abnormalities by ventriculography and echocardiography. In 4 males doctors predict cocaine usage, but it wasn't documented by appropriate laboratory tests. In 8 female it was suspected Tacotsubo cardiomyopathy. Data was collected retrospectively and all these cases it was not possible to collect coagulation tests. Myocardial biopsy wasn't performed and myocarditis is also not excluded in these cases. We suspect also

spontaneous thrombolysis is several cases, because most of angiography investigations were done in first 3 hours after initial event.

Prognosis of the patients with STEMI and NCA was well. No any fatal and or non fatal complications were found during hospitalization. During 6 month period of time only 1 patient was hospitalized again with the same diagnosis. Coronarography was performed again, but no any abnormalities were found.

In general, this is the one of the first retrospectively performed studies with collection different data for the patients with STEMI and NCA. No correlation was found between wall motion abnormalities and coronary flow limitations. High incidence of wall motion abnormalities were found in this study. Further prospective in patients with STEMI and NCA are warranted to help clarify the pathophysiology involved in such patients. Mechanisms, that may also play an important role in causing myocardial infarction in the patients with significant atherosclerotic burden. Stress may well be a prominent factor, but future studies should include psychological investigation, autonomous nerves system testing and catecholamine levels to verify its role in this syndrome.

### ლიტერატურა:

1. Brain Stunk an all. High incidence of focal ventricular wall motion abnormalities and normal coronary arteries. The journal of invasive Cardiology –ISSN:10423931-Volume 18, Issue 6. 08-2006. 371-381.
2. Sharifi M. at all Myocardial Infarction with angiographically normal coronary arteries. Chest 1994. 107; 36-40.
3. Sharkey SW, Lessen JR at al. Acute and reversible cardiomyopathy provoked by stress in women fro USA. Circulation 2005; 111:472-479.
4. Tsuchihashi, K, Uesmshima K, et al Transient left ventricular apical ballooning without coronary stenosis: A novel heart syndrome mimicking acute myocardial infarction Am. Coll Card. 200138:11-18.
5. Da Costa A, Isaaz K et al. Clinical Characteristics, etiological factor and long term prognosis of myocardial infarction with an absolutely normal coronary angiogram. Eur.Heart J 2001; 22:1459-1465.

**პროპაფენონის (პროპანორმი) მოქმედების ეფექტურობის შეფასება  
არტერიული ჰიპერტონიისა და გულის ქრონიკული უკმარისობის  
დროს წინაგულთა ფიბრილაციის მქონე პაციენტებში**

**გ. აბულაძე, ე. ნარსია, ნ. ჯინჯოლია, მ. ნებიერიძე, შ. თვალჭრელიძე  
ივ. ჯაფახიშვილის სახ. თხუ,  
გ. წინამდღვრიშვილის სახ. კარდიოლოგიის ინსტიტუტი,  
ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი**

გულის ქრონიკული უკმარისობისა (გქუ) და წინაგულთა ფიბრილაციის (წფ) მქონე პაციენტთა მკურნალობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს არა მხოლოდ ანტიარითმიულ საშუალებათა, არამედ იმ პრეპარატების გამოყენებაც, რომლებიც აბლო-კირებენ რენინ-ანგიოტენზინისა და სიმპათო-ადრენალურ სისტემათა აქტივაციას. თერაპიის ასეთი კომპლექსური ტაქტიკა უზრუნველყოფს ტაქიარითმიათა რეციდივების შემცირებას და მათ თავიდან აცილებას მარცხენა გულის რემოდელირების კორეგირების საფუძველზე [1,2,3,4,5].

წინაგულთა ფიბრილაციის არსებობის პირობებში გქუ-ის ფონზე შენახული სისტოლური ფუნქციის დროს, პროპაფენონის ხმარების მიზანშეწონილობა სინუსის რითმის შენარჩუნების მიზნით, ჯერჯერობით მსჯელობის საგანს წარმოადგენს და ამ თვალთანედვით ლიტერატურაში არსებული მონაცემები მწირია. წფ, როგორც ყველაზე გავრცელებული სახეობა არითმიისა კლინიკურ პრაქტიკაში, უპირატესად ხშირად გვხვდება პაციენტებში არტერიული ჰიპერტონიითა და გულის უკმარისობით [6,7]. გქუ-ის პათოფიზიოლოგია მარცხენა პარკუჭის შენარჩუნებული სისტოლური ფუნქციით, ჰეტეროგენულია. არტერიული ჰიპერტონიის მქონე პაციენტებში მარცხენა პარკუჭის დარღვეული რელაქსაციის ფუნქცია შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არტერიულ სისხლძარღვთა სისტემის სიხისტესთან. პარკუჭთა კედლების დამყოლუნარიანობის (მოდუნება) შემცირება, მიოკარდიული ფიბროზი ასეთი კატეგორიის პაციენტებში იწვევს წინაგულთა ზომების მატებას და განაპირობებს წფ-ის აღმოცენებას [8,9,10].

აღსანიშნავია, რომ პროპანორმი ნატრიუმის არხების ბლოკადასთან ერთად გაგლუნას ახდენს კალიუმის და კალციუმის არხების და აგრეთვე ბეტა-ადრენერგული რეცეპტორების აქტივობაზე [10]. აქედან, პროპაფენონი – Ic კლასის ანტიარითმიული პრეპარატი ხასიათდება II, III და IV კლასის ანტიარითმიულ საშუალებათა თვისებებით ე.ი. ნაწილობრივ წარმოადგენს ბეტა-ადრენობლოკატორს, კალიუმის და კალციუმის არხების ანტაგონისტს [8,9].

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გაგრძელდეს კვლევა Ic კლასის პრეპარატის – პროპაფენონის გამოყენებით წფ-ის მქონე პაციენტთა მართვის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების მიზნით.

**კვლევის მიზანის წარმოადგენდა** პროპაფენონის კლინიკური ეფექტურობის შეფასება არტერიული წნევისა (აწ) და გქუ-ის მქონე პაციენტებში გართულებული წფ-ის მორეციდივე პაროქსიზმული და პერსისტული ფორმით.

**მასალა და მეთოდები.** გამოკვლეული იყო 96 პაციენტი საშუალო ასაკით  $57,8 \pm 2,3$  არტერიული ჰიპერტონიის I-III ხარისხით და გქუ-ის II სტ. (NYHA-ს მიხედვით). შენახული სისტოლური ფუნქციის ფონზე  $>50\%-ზე$  პაციენტებს აღნიშნებოდათ წფ-ის პაროქსიზმული და პერსისტული ფორმა და დაყოფილი იყვნენ 2 ჯგუფად. I ჯგუფში შედიოდა 64 პაციენტი, რომელთაც “ტრადიციულ” მკურნალობასთან ერთად (აწ და გქუ-ს სამკურნალოდ) დანიშნული ჰქონდათ პროპაფენონი – 450 მგ/დღ წფ-ის პაროქსიზმული შეტევების თავიდან აცილების მიზნით. პაციენტთა მე-2 ჯგუფი წარმოდგენილი იყო 32 პაციენტით, რომლებიც იდენტური მკურნალობას ამიოდარონით ტაქიარითმიის ეპიზოდების პროფილაქტიკის მიზნით (შემანარჩუნებელი დოზით 400 მგ/დღ). არითმიის ანამნეზი I ჯგუფში იყო  $4,3 \pm 2,2$  წ. და მე-2 ჯგუფში –  $5,1 \pm 3,1$  წ. არტერიული ჰიპერტონიის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით წფ-ის აღმოცენების ალბათობა იყო უფრო ხშირი პერსისტული ფორმების დროს ( $3,5\text{-ჯერ}$ ) პაროქსიზმულ ფორმებთან შედარებით.

ანგიარითმიული პრეპარატები (პროპაფენონი, ამიოდარონი) დაენიშნა ყველა პაციენტს წფ-ის მორცეილივე პაროქსიზმული და პერსისტული ფორმით. ამ ჯგუფებში შეტევათა აღმოცენების სიხშირე იყო 1-ზე მეტი 3 თვის განმავლობში.

ყველა პაციენტს უტარდებოდა 12-განხსრიანი ეპგ გამოკვლევა. ჰემოდინამიკის პარამეტრები ფასდებოდა ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევით. განსაზღვრული იყო საბოლოო სისტოლური და საბოლოო დიასტოლური ზომები (სსზ და სდზ), განდევნის ფრაქცია (გფ) სიმპსონის ფორმულის მიხედვით, პარკუტოაშუა ძირის სისქე და მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის სისქე, მარცხენა წინაგულის ზომები, ტრანსმიტრალური ნაკადის სპექტრი (E/A), იზოვოლების რელაქსაციის დრო (ირდ).

დიასტოლური დისფუნქცია შეფასებული იყო ულტრაბაგერითი დიაგნოსტიკური ნორმატივების საფუძველზე: გამოიყო მარცხენა პარკუჭის ავსების სამი ტიპი – დაქვეთებული რელაქსაციით, ფსევდონორმალური (ზომიერი) და რესტრიქციული (მძიმე).

მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება წარმოებდა საშუალო სიდიდეთა შორის სხვაობათა განსაზღვრით სტიუდენტის კრიტერიუმის მიხედვით.

**შედეგები და განხილვა.** პაციენტებს, რომელთაც აღუდგათ სინუსის რითმი, ადდგენის დრო საშუალოდ იყო 1-დან 10 დღემდე. I ჯგუფის პაციენტთა შორის დიასტოლური დისფუნქცია შენელებული რელაქსაციით გამოვლენილი იქნა 84,3%-ში, II ჯგუფის პაციენტთა შორის – 85,3%-ში. მარცხენა პარკუჭის შენელებული ავსება ადრეული დიასტოლის ფაზაში იყო – E/A<1,0. დიასტოლური დისფუნქციის ფსევდონორმალური ტიპი აღინიშნა 13,1%-ში I ჯგუფის პაციენტებში და 6,2%-ში მე-2 ჯგუფის პაციენტთა შორის - E/A-1,24±0,13. რესტრიქციული ტიპი გამოვლენილი იქნა 3,2%-ში I ჯგუფის პაციენტებში და მე-2 ჯგუფში - 8,1%-ში E/A-2,18±0,51.

პროპანორმის გამოყენების საფუძველზე “ტრადიციულ” მედიკამენტურ მკურნალობასთან კომბინაციაში სინუსის რითმის შენარჩუნება აღინიშნა 32,5%-ში, შეტევათა ეპიზოდების შემცირება - 85,3%-ში.

მიღებული პოზიტიური ანგიარითმიული ეფექტი პროპანორმისა აიხსნება არა მარტო პრეპარატის უშუალო ზემოქმედებით ამ სახის არითმიაზე, არამედ იმ კომბინირებული ოერაპიითაც, რომელიც მიმართული იყო აწ-ის და გქუ-ის სამკურნალოდ.

1 წლის შემდეგ კომბინირებული მქურნალობის ფონზე აღინიშნა ტენდენცია მარცხენა პარკუჭის საბოლოო სისტოლური და დიასტოლური ზომების შემცირების მხრივ, ადგილო ჰქონდა დიასტოლური ფუნქციის მაჩვენებელთა გაუმჯობესებას პაციენტთა 17,2%-ში. დიასტოლური დისფუნქციის “ფსევდონორმალური” და “რესტრიქციული” ტიპები ტრანსფორმირებული იყო “შენელებული” რელაქსაციის ტიპში, რაც მიუთითებს მიოკარდიუმის ელასტიკური მახასიათებლების გაუმჯობესებაზე.

**დასკვნა.** პროპანორმის გამოყენების საფუძველზე პაციენტებში აწ და გქუ-ის ფონზე მარცხენა პარკუჭის შენარჩუნებული სისტოლური ფუნქციის პირობებში წფ-ის პაროქსიზმების თავიდან აცილება და სინუსის რითმის შენარჩუნება დადგენილ იქნა პაციენტთა 32,5%-ში. პაციენტთა 82,5%-ში კი გამოვლინდა წფ-ის ტაქიარითმის ეპიზოდების შემცირება 85,3%-ით.

გულის რითმის დარღვევის მქონე პაციენტთა მკურნალობა დაწყებული უნდა იყოს ძირითადი დაავადების მკურნალობიდან, რადგან “ტრადიციული” მედიკამენტური ოერაპია იძლევა საფუძველს დარღვეული ჰემოდინამიკურ მაჩვენებელთა კორეგირებისა. კერძოდ, Ic კლასის პრეპარატი – პროპანორმი შეიძლება გამოყენებული იქნეს წფ-ის პაროქსიზმული და პერსისტული ფორმების შემთხვევაში სინუსური რითმის აღდგენისა და რეციდივსაწინააღმდეგო ოერაპიის მიზნით ტრადიციულ მკურნალობასთან ერთობლიობაში წფ-ისა და გქუ-ის ფონზე, როცა მარცხენა პარკუჭის სისტოლური ფუნქცია შენარჩუნებულია.

## Evaluation of Propafenon (propanorm) Effectiveness in the Patients with Atrial Fibrillation on the Background of Arterial Hypertension and Chronic Heart Failure

**G.Abuladze, N.Jinjolia, E. Narsia, Sh. Tvalchrelidze, M. Nebieridze  
I. Javakhishvili TSU, M. Tsinamdzgvishvili Institute of Cardiology,  
I. Beritashvili Institute of Physiology**

The aim of the study was to estimate the efficiency of the anti arrhythmic drug (Ic class) propanorm in the patients with AH and CHF with maintenance of systolic function (LV EF $\geq$ 50%) complicated by paroxysmal and persistent forms of AF.

We've investigated 96 patients with AH (I-II stage) and CHF (II class by NYHA) for a year. On the background of standard therapy patients were treated with propanorm (450 mg/daily) for prevention of paroxysmal attacks of AF. Sinus rhythm was maintained in 32,5% of cases, reduction of paroxysm frequency was observed in 85,3% of pts. In 17,2% of cases improvement of LV pseudo normal and restrictive types of filling were revealed

Propanorm might be used together with traditional therapy in the patients with AF on the background of AH and CHF (with maintenance of systolic function) to restore sinus rhythm and prevent relapse of AF.

### ლიტერატურა:

1. Абуладзе Г.В., Джинджолия Н.Р. Динамика эхокардиографических изменений и тактика оптимальной терапии у больных фибрилляцией предсердий. Med. News, №4 (145), 2007, 4 გვ.
2. Абуладзе Г.В., Шарашидзе Н.С., Нарсия Э.В. и др. Фибрилляция предсердий и хроническая сердечная недостаточность: оптимальная тактика терапии. Российский национальный конгресс кардиологов (BHOK), 2008, 15.
3. G. Abuladze, E. Narsia, N. Jinjolia. New Therapeutic strategies for atrial fibrillation. 10<sup>th</sup> Venice Arrhythmias 2007. Workshop on Cardiac Arrhythmias Venice, J. of Cardiovascular Electrophysiology, 2007, p. 77.
4. გ. აბულაძე, ნ. ჯინჯოლია, ნ. ზარაშიძე და სხვა. არაანტიარითმული ფარმაკოლოგიური მკურნალობა აგუ ინტიბიტორის – პერინდიპრილის (პრესტარიუმის) გამოყენებით წინაგულთა ფიბრილაციის რეპურექსების პროფილაქტიკისათვის წარმატებული კარდიოგერსიის შემდეგ. კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა, №3-4 (XXIII – XXXIV). 2008. გვ. 27-29.
5. G. Abuladze, N. Jinjolia. The tactics combination treatment with ACE inhibitor-perindopril and Arrhythmic drugs in the patients with persistent form of atrial fibrillation with CHF. The 9<sup>th</sup> international Dead Sea Symposium on Cardiac Arrhythmias and Device Therapy, Tell – Aviv (Israel), 2008, 155.
6. Беленков Ю.Р., Мареев В. Ю. Принципы рационального лечения сердечной недостаточности. М., «Медиа Медика», 2000, 266с.
7. Даниелиян М.О. Прогноз и лечение хронической сердечной недостаточности (данные 20-и летнего наблюдения), Автореф. дис. канд. мед. наук. Москва, 2001.
8. Рекомендации Американской Кардиологического Колледжа, Американской Ассоциации Сердца (AAC) и Европейского Общества Кардиологов по лечению с фибрилляцией предсердий. 2004, 134c.
9. Boos CI, Carlsson J, More RS. Rate or rhythm control in persistent atrial fibrillation? QJM, 2003; 96 (12), 881-892.
10. Cleland JG, Swedberg K., Follath F et al. The Euro Heart Failure survey programme a survey on the quality of care among patients with heart failure in Europe. part I, patient characteristics and diagnosis. Eur. Heart J. 2003, 24 (5), 442-463.


## გულის ქრონიკული უკმარისობის მართვის სტრატეგიათა კლინიკური შედეგები და ხარჯეფექტურობა

ენდოციურ ჯ.ს. ქოტსი  
მედიცინის ფაკულტეტი, სიდინის უნივერსიტეტი, ავსტრალია

ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების კონგრესი 2007 წლის 1-5 სექტემბერი,  
ვენა, ავსტრია


იმისათვის, რომ გულის უკმარისობის მკურნალობის კლინიკურ პრაქტიკაში სიახლე დაინერგოს, ნაჩვენები უნდა უნდა იყოს ამ სიახლის დამატებითი სარგებელი უკვე არსებულ ევენტურ მკურნალობასთან შედარებით. ამასთანავე ამჟამად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის დემონსტრირებას, რომ ეს სარგებელი მიიღწევა ადექვატური დანახარჯებით (ხარჯეფექტურობით). გარდა ამისა, მკურნალობა სარგებლობის ოვალ-საზრისითაც განსხვავებულია. მაგალითად, HOPE-ის კვლევის მიხედვით რამიპრილი სასარგებლობა მაღალი რისკის მქონე პაციენტებისათვის, მგრამ მკურნალობის შედეგად გადარჩენილ ავადმყოფთა რაოდენობის ოვალსაზრისით (ერთი წლის განმავლობაში 1,000 პაციენტის მკურნალობის შედეგად გადარჩენილი ავადმყოფების რაოდენობა ნაკლებია ერთზე <1) მისი აბსოლუტური სარგებლიანობა ჯერ კიდევ შედარებით დაბალია. რამიპრილისგან განსხვავებით, როგორც სპირონოლაქტონი, ისე ბეტა-ბლოკერები ძალიან დიდ გავლენას ახდენს გულის მძიმე უკმარისობის დროს, რადგან სელშესახები სარგებლის მისაღებად საჭიროა საკმაოდ მცირე რაოდენობის ადამიანების მკურნალობა (მაგ. 1 წლის განმავლობაში 1,000 პაციენტის ნებივოლოლით მკურნალობის შედეგად სიცოცხლე შეუნარებულება 42 ადამიანს). არსებობს ურთიერთკავშირი NNT-სა და ყველა იმ პაციენტის მკურნალობის დირებულებას შორის, რომელთათვისაც მკურნალობა სასარგებლო იქნებოდა. (number-needed-to-treat - პაციენტების რაოდენობა, რომელსაც უნდა ვუმკურნალოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ერთი ცუდი გამოსავალი (სიკვდილი, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, ინსულტი და ა.შ.))

SENIORS-ის კვლევა იყო ვაზოდილატაციური ბეტა-ბლოკერის, ნებივოლოლის რანდომიზებული, ორმაგი ბრმა, პლაცებო-კონტროლირებადი კვლევა, რომელიც ჩატარდა გულის უკმარისობის მქონე ხანდაზმულ პოპულაციაში. პაციენტების ასაკი კვლევაში ჩართვისას აღემატებოდა 70 წელს, მათ ჰქონდათ დასმული გულის უკმარისობის კლინიკური დიაგნოზი და დოკუმენტირებული დაბალი განდევნის ფრაქცია ბოლო 6 თვის ან გულის უკმარისობის გამო ჩატარებული სტაციონარული მკურნალობა ბოლო 12 თვის განმავლობაში. ეს იყო ბეტა-ბლოკერის პირველი კვლევა, რომელშიც შედარებით შენარჩუნებული განდევნის ფრაქციის მქონე პაციენტები ჩართეს. გამოკვლეული იყო 2,100-ზე მეტი პირი. აღინიშნა პირველადი საბოლოო წერტილის (ყველა მიზეზით განპირდებული სიკვდილობის ან კარდიოგასკულური მიზეზით პოსპიტალიზაციის გაერთიანებული საბოლოო წერტილი) 14%-ით შემცირება. ქვეჯგუფების წინასწარმა ანალიზმა აჩვენა, რომ სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი განდევნის ფრაქციის მაჩვენებელს, ასაკს, სქესს და საბოლოო შედეგს შორის არ აღინიშნებოდა. გაერთიანებული საბოლოო წერტილის რისკის შემცირება უფრო ნაკლები იყო სხვა კვლევებთან შედარებით, რომლითაც სწავლობდნენ ბეტა-ბლოკერებით გულის უკმარისობის მკურნალობას, როგორიცაა MERIT, CIBIS II და COPERNICUS. თუმცა ამ კვლევების შედეგების მარტივი პირიდაპირი შედარება არასარწმუნოა, ვინაიდან მათში გამოკვლეული პოპულაციები გასხვავებული იყო. კვლევებს შორის სარწმუნო შედარების გაკეთების მიზნით გამოიყო SENIORS-ის პაციენტების ქვეჯგუფი, რომელიც შედარებით უფრო მიესადაგებოდა ბეტა-ბლოკერების წინა კვლევების პაციენტებს: ეს ქვეჯგუფი შეადგინა 70-დან 75 წლამდე ასაკის პაციენტებმა, რომელთა განდევნის ფრაქცია 35%-ზე დაბალი იყო (ნახ. №1). ამ ქვეჯგუფის პაციენტების ცალკე განხილვისას, სიკვდილობის რისკი 38%-ით შემცირდა, რაც სტატისტიკურად სარწმუნო იყო და საგსებით შეესაბამებოდა კვლევებში CIBIS II, MERIT-HF და COPERNICUS რისკის შემცირებას (ნახ.№2).




► **Fig. 1.** In order to make meaningful head-to-head comparisons of the results of trials of beta-blockers in the treatment of chronic heart failure, the subset of patients in the SENIORS study most closely resembling the patients in the previous beta-blocker trials was picked out. This subset was formed of patients aged <75.2 years with a left ejection fraction <35%.

ნახ. №1. ავლევებს შორის სარწმუნო შედარების მიზნით SENIORS-ში ჩართულ პირთაგან გამოიყო ქვეჯგუფი, რომელიც უფრო შეესაბამებოდა ბეტა-ბლოკერების წინა ავლევებში ჩართულ პაციენტებს. ეს ქვეჯგუფი შეადგინეს პირებმა, რომელთა საშუალო ასაკი  $<75.2$  წელი იყო, მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია კი  $< 35\%$ .




ნახ. 2. გულის უკმარისობის მქონე პაციენტების ბეტა-ბლოკერებით მგურნალობისას ნებისმიერი მიზეზით განპირობებული სიკვდილობის რისკის შემცირება სარწმუნოდ მაღალი იყო და ოთხივე ავლევაში ერთმანეთის მსგავსი.

SENIORS-ის ავლევაში ჩართული პაციენტები გულის უკმარისობის მქონეთა ზოგადი პოპულაციის ტიპური წარმომადგენლები გახლდნენ, ვინაიდან ისინი იყვნენ ხანდაზმული ასაკის, უმრავლესობას შენარჩუნებული პქონდა მარცხენა პარკუჭის ფრაქცია, დიდ ნაწილს ქალები შეადგენდნენ და მაღალი იყო თანმხლები დაავადებების სისშირე. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თანმხლები პათოლოგია გულის უკმარისობის მქონე ავადმყოფებში თირკმელების ფუნქციის დარღვევა. მრავალი კვლევითაა ნაჩვენები, რომ თირკმელების ფუნქციის დარღვევა სიკვდილობის მძლავრი დამოუკიდებელი პრედიქტორია (დიაგ.3). თირკმელების დარღვეული ფუნქცია სიკვდილობის მძლავრი პრედიქტორია.



ნახ. 3 თირკმლების ფუნქციის გავლენა სიკვდილობაზე: DIG კვლევა გარდაცვლილ აფადმყოფთა პროცენტული რაოდენობა და დადგენილი გვს (გლომერულური ფილტრაციის სიჩქარე) (მლ/წთ/1.73მ<sup>2</sup>)

როდესაც SENIORS-ის კვლევაში გაანალიზდა ნებივოლოლის ეფექტურობა იმ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებოდათ თირკმლების ფუნქციის სხვადასხვა ხარისხის დარღვევა, აღმოჩნდა, რომ ნებივოლოლის დადებითი ეფექტი მით უფრო მკვეთრად იყო გამოხატული, რაც უფრო უარესი იყო თირკმლების ფუნქცია ანუ იზრდებოდა განსხვავება ჰლაცებოს და ნებივოლოლის ჯგუფებში სიკვდილობის მრუდებს შორის. თირკმლების ფუნქციის ყველაზე მძიმე დარღვევის მქონე პაციენტთა კოპორტაში გაერთიანებული საბოლოო წერტილის შედარებითი რისკის შემცირება დაახლოებით 35% იყო (ნახ. 4). (ნახ. 4 SENIORS-ის კვლევაში ნებივოლოლის ეფექტურობა შესწავლილი იყო იმ პაციენტებში, რომლებიც დაყოფილი იყვნენ თირკმლების დისფუნქციის ხარისხის მიხედვით. ნებივოლოლის ეფექტურობა იზრდებოდა თირკმლების ფუნქციის გაუარესებასთან ერთად).



► Fig. 4. The efficacy of nebivolol in the SENIORS study was analysed in patients stratified according to their level of renal impairment. The beneficial effect of nebivolol increased as the renal function got worse.

ნახ. №4 ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული სიკვდილობა ან კარდიოგასტულური პოსპიტალიზაცია კრეატინინის კლირენსთან მიმართებაში ჰლაცებოსა და ნებივოლოლის ჯგუფებში.


ამგვარად, ექიმებმა არ უნდა თქვან უარი ნებივოლოლით მკურნალობაზე გულის უქმარისობის მქონე პაციენტებში, რომელთაც თირქმელების დისფუნქცია აქვთ, ანუ ეს ის პაციენტებია, რომლებიც უდიდეს სარგებელს იღებენ ნებივოლოლით მკურნალობისგან.

მეორე ქვეჯგუფში SENIORS-ის მონაცემების ანალიზით შეისწავლეს ნებივოლოლის გავლენა წონის კლებასა და კარდიულ კახექსიაზე, რომელიც გულის უქმარისობის უმძიმეს გართულებას წარმოადგენს და დაკავშირებულია სიკვდილობის ძალიან მაღალ ხარისხთან. აღმოჩნდა, რომ ნებივოლოლი სარწმუნოდ აქვეითებს სიკვდილობის ან 5%-ზე მეტად წონის კლების გაერთიანებულ საბოლოო წერტილს. ნებივოლოლს აღენიშნება წონის კლებაზე აშკარად დამოუკიდებელი ზეგავლენა, რაც მიუთითებს, რომ ავადყოფთა გადარჩენაზე ნებივოლოლის მოქმედების მექანიზმი ნაწილობრივ კარდიული კახექსი-ისგან დაცვის გზითაც ხორციელდება.

და ბოლოს, გაკეთდა შემდეგი ანალიზი გულის უქმარისობის მქონე ხანდაზმული პაციენტების ნებივოლოლით მკურნალობის ხარჯეფებურობის შესასწავლად. შეისწავლეს ნებივოლოლით მკურნალობის შედეგად დამატებული სიცოცხლის წლების ან დამატებული ხარისხიანი სიცოცხლის წლების (QALY) დირებულება სტანდარტული მეთოდის გამოყენებით. რაც უფრო ნაკლები იხარჯება QALY-ს მატებაზე, მით უფრო ხარჯეფებურია მკურნალობა. NICE მიხედვით ხარჯეფებურობის ზღვარს, რომლის ქვევითაც მკურნალობა ეკონომიურად ეფექტურია წარმოადგენს QALY-ს მატების დირებულება ტოლი ან ნაკლები დაახლოებით 30,000 ევროზე.

გამოყენებული იყო ხარჯეფებურობის შეფასების ინდივიდუალური მოდელირების მეთოდი, რაც ემყარება მარკვის მოდელს. ანალიზით დადგინდა, რომ ნაზარდი დირებულება ვლინდებოდა იმ პაციენტებში, რომლებიც 1,720 ფუნტი სტერლინგის ნებივოლოლს იღებდნენ; სიცოცხლის წლების ზრდა შეადგენდა 0.83-ს, ხოლო QALY-ს ხარისხიანი სიცოცხლის წლებისა - 0.65-ს.

ამგვარად, ხარჯეფებურობის ზრდის ფარდობა შეადგენდა დაახლოებით 2,000 ფუნტს (ან დაახლოებით 3,000 ევროს) სიცოცხლის ერთ წელზე და დაახლოებით 2,720 ფუნტს (ან 3,900 ევრო) ხარისხიანი სიცოცხლის წელზე QALY-ზე (ნახ. 5).




ნახ. 5. გულის უქმარისობის მქონე ხანდაზმულ პაციენტთა ნებივოლოლით მკურნალობის ხარჯეფებურობა მაღალია სტანდარტულ მკურნალობასან შედარებით:

- ნაზარდის დირებულება £1,720
- ცხოვრების წლების ნაზარდი 0.831
- ხარისხიანი წლების ნაზარდი (QALY) 0.649
- ეკონომიური ეფექტურობის ნაზარდის ფარდობა:

- £2,069 (95%CI 1,947-დან 2,217-მდე) (€3,000) სიცოცხლის წელზე
- £2,670 (95%CI 2,475-დან 2,918-მდე) (€3,871) QALY-ზე.

NICE-ის კონკრეტური ეფექტურობის ზღვარი დაახლოებით 30,000 ევროა; შეალები 30,000-დან 40,000 ევრომდე პოტენციურად ხარჯეფების ითვლება. 30,000-ის ფარგლებში ნებივოლოლი გაცილებით უფრო ხარჯეფებისა, ვიდრე მრავალი სხვა სახის მკურნალობები: მწვავე კორონარული სინდრომის დროს კლოპიდოგრელისთვის ის შეადგენს 12,000 ევროს QALY-ზე; მიოკარდიუმის ინფარქტის შემდგომ აპლერენონისთვის არის 10,000-20,00 ევრო; გულის რესინქრონიზაციისთვის - 10,000-40,000 ევრო (ნახ. 6).



► Fig. 6. The cost-effectiveness of nebivolol compares favourably with that of other established medical therapies.

ნახ. 6 ნებივოლოლის ხარჯეფების უფრო მაღალია სხვა ფართოდ დანერგილ მედიკამენტურ მკურნალობებთან შედარებით ნებივოლოლის გაონომიური ეფექტურობა გულის ქრონიკული უკმარისობის მკურნალობაში სხვა სახის მკურნალობებთან შედარებით:

- ნებივოლოლი
- ანგიოტენზინ II რეცეპტორის ანტიგონისტი (პიპერტენზინზისთვის)
- ინჰალაციური კორტიკოსტეროიდები (ბრონქული ასთმისთვის)
- კომბინირებული მკურნალობა ( $\beta_2$ -ადრენერგ. რეცეპტ. აგონისტები, კორტიკოსტეროიდები თრადური, ინჰალაციური) (ბრონქული ასთმისთვის)
- სტატინები (პიპერქოლესტეროლემისთვის)
- ლიპაზას ინჰიბიტორები (სიმსუქნისთვის)
- ცოგ-2 ინჰიბიტორები (არა მადალი რისკის) (ართრიტისთვის)
- ნეირამინიდაზას ინჰიბიტორები (გრიპისთვის)
- $\beta$ -ინტერფერონი (გაფანტული სკლეროზისთვის)

**დასკვნა,** შეიძლება ითქვას, რომ ნებივოლოლი კლინიკურად და სტატისტიკურად სარწმუნოდ ეფექტურია ნებისმიერი მიზეზით განპირობებული სიკვდილობისა და კარდიოგასკულური ჰოსპიტალიზაციის შემცირების თვალსაზრისით გულის უკმარისობის მქონე ხანდაზმულ პაციენტთა კოპორტაში. ზოგად პოპულაციაში ასეთი პაციენტები ტიპიზრია გულის უკმარისობისთვის.

ნებივოლოლის სასრულობო მოქმედება ნებისმიერი მიზეზით განპირობებული სიკვდილობისა და კარდიოგასკულური მიზეზით ჰოსპიტალიზაციის გაერთიანებულ საბოლოო წერტილზე ერთნაირია სხვადასხვა ქვეჯგუფში (მამაკაცი/ქალი, შენარჩუნებული/დაქვეითებული განდევნის ფრაქცია, ძალიან ხანდაზმული/ხანდაზმული).

უფრო მეტიც, ნებივოლოლი უაღრესად ხარჯეფების მიზეზით განპირობებული არჩევანია ხანდაზმულ გულის უკმარისობის მქონე პაციენტთა მკურნალობისათვის. გულის უკმარისობის მქონე ზოგად პოპულაციაში ნებივოლოლის ხარჯეფების შესახებ ამ კვლევის დასკვნის გარეშეც ცხადია, რომ არის მისი გამოყენების უფრო ფართო პოტენციალი და უზარმაზარი დანაზოგები და ამისთვის არ არის საჭირო წინასწარი ფართო გამოკვლეული.

## **Clinical Outcomes and Cost-Effectiveness of Strategies in the Managements of chronic Heart Failure**

Andrew J.S. Coats

*Faculty of Medicine, University of Sydney, Australia*

In conclusion, it can be said that nebivolol provides a clinically and statistically significant benefit in terms of all-cause mortality and cardiovascular hospitalization in an elderly cohort of heart failure patients representative of the general population of heart failure patients in the community. The benefit of nebivolol on this combined end-point is consistent among different subgroups (male/female, preserved/reduced ejection fraction, very elderly/elderly).

Furthermore, nebivolol is an extremely cost-effective treatment option for heart failure in the general elderly population without even taking into account that since it is efficacious across the general heart failure population, there is potentially wider uptake and greater savings from the fact that such extensive investigations may not be needed prior to treatment.

## **Sternal Wound Infection after Coronary Bypass Surgery: Treatment and Outcomes**

V.Gapagov, K.Musayev\*, A.Mamedov.

**The third department of surgical diseases, Azerbaijan Medical University, Baku, Azerbaijan.**

\*The department of cardiovascular surgery, Central Clinical Hospital, Baku, Azerbaijan.

